ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1570350

ნომერი: AR1262129

თარიღი : 30.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლის , მე-13 კილომეტრი , (ნაკვ.14/579) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე აბრამია პ/ნ 01019023569
- თამარაშვილის 13, ბ.93

ორგანიზაცია:
- შპს გრინპაკი კოდი: 405059573

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2014 წლის 30 ოქტომბრის #AR1262129 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.72.14.014.579 მიწის ნაკვეთზე საწარმოს მშენებლობისთვის, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ, რომ აღნშნული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში.

ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრები:

სსზ–2

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 4,6
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) წარმოადგენს განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონას, მათ შორის კარკასს სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები. (შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, რეკომენდებულია არა უმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის. (25.11.2011 N 12-55) (იხ. დანართი).

გთხოვთ აირჩიოთ საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში დასაშვები ძირითადი ან სპეციალური ზონალური ნებართვით დასაშვები ობიექტის ფუნქცია, აღნიშნული განცხადების დახარვეზებულ ფუნქციური დანიშნულების და მოთხოვნის ტექსტის შესაბამის ველებში, რადგან მოთხოვნილი სახეობა არ შეესაბამება კანონმდებლობით მითითებულ ჩამონათვალს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.